

ერთი მხრივ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში, „გამყიდველი“), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის, ქეთევან პეტრიაშვილის (პირადი №01008046843) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2015 წლის 20 ნოემბერს გაცემული №4/68145 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, და მეორე მხრივ, შპს „ბ & ნ“ (ს/№204506472) (შემდგომში, „მყიდველი“), წარმოდგენილი გიორგი დვალის (პ/ნ 60001010613) სახით, მოქმედი შპს „ბ & ნ“-ის დირექტორის ბადრი კაკაბაძის (პ/ნ 65002011581) მიერ 2010 წლის 06 თებერვალს გაცემული მინდობილობისა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №100101545; სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 29197306419510) და შპს „ბ & ნ“-ის დამფუძნებელი პარტნიორის (100%-იანი წილის მესაკუთრის) ბადრი კაკაბაძის (პ/ნ 65002011581) მიერ 2010 წლის 06 თებერვალს გაცემული მინდობილობის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №100101555; სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 52049907295010) საფუძველზე და ფარგლებში, შემდგომში თითოეული წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებისა და „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ 95%-იანი წილის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბ&ნ“-ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 22 ოქტომბრის №2248 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში, „ხელშეკრულება“):

მუხლი 1. „ხელშეკრულების“ საგანი

„გამყიდველი“ გადასცემს, ხოლო „მყიდველი“ საკუთრებაში იღებს „შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ (ს/კ №244969370) (შემდეგში, „საწარმო“) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 95%-იან წილს (შემდეგში - „საწარმოს 95%-იანი წილი“), „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

მუხლი 2. საპრივატიზებო თანხა და მისი გადახდის წესი

2.1. „მყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს საპრივატიზებო თანხის 800 000 (რვაასი ათასი) ლარის გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.



2.2. „მყიდველმა“ საპრივატიზებო თანხის გადახდა უნდა განახორციელოს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში
ანგარიშის დასახელება (მიმღები): სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
ანგარიშის ნომერი: №GE50BG0000000655067100 / ანგარიშის ვალუტა: ლარი
მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“; მიმღები ბანკის კოდი: BAGAGE22

2.3. „ხელშეკრულების“ 2.2. მუხლში მითითებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, „მყიდველი“ წერილობით აცნობებს „მყიდველს“.

2.4. „მყიდველმა“ საპრივატიზებო თანხის გადახდისას უნდა მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართით გათვალისწინებული რეკვიზიტები იმგვარად, რომ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით დგინდებოდეს თანხის გადახდის მიზნობრიობა.

2.5. საპრივატიზებო თანხა „მყიდველის“ მიერ გადახდილად მიიჩნევა შესაბამის საბანკო ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

მუხლი 3. „მხარეთა“ უფლება-მოვალეობები

3.1. „მყიდველი“ ვალდებულია:

3.1.1. „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან არა უმეტეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში უზრუნველყოს:

ა) „საწარმოს“ საკუთრებაში არსებულ, №37.10.33.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (შემდეგში - „ქონება“) არანაკლებ 700 (შვიდასი) საწოლზე გათვლილი სამედიცინო დაწესებულების შექმნა, (მათ შორის, აღნიშნული მიზნით, დამატებით არანაკლებ 2 (ორი) ერთეული (ჯამში არანაკლებ 2400 კვ.მ ფართობის მქონე) შენობა-ნაგებობის მშენებლობა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება) აღჭურვა, კეთილმოწყობა და ფუნქციონირების დაწყება;

ბ) ხელშეკრულების 3.1.1. მუხლის „ა“ პუნქტით ნაკისრი საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, არანაკლებ 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება.

3.1.2. უზრუნველყოს „საწარმოში“ არსებული სერვისების მიწოდების შენარჩუნება, მათ შორის, 3.1.1. მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისას.



3.1.3. უზრუნველყოს „ქონებისათვის“ (მათ შორის, დამატებით არანაკლებ 2 (ორი) ერთეული (ჯამში არანაკლებ 2400 კვ.მ ფართობის მქონე)) შენობა-ნაგებობისათვის) სამედიცინო პროფილის შენარჩუნება ამ შენობა-ნაგებობების არსებობის ვადით, მაგრამ არანაკლებ „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 50 (ორმოცდაათი) წლის განმავლობაში, მათ შორის:

ა) უზრუნველყოს „ტუბერკულოზის მართვისა“ და „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სფეროში არსებული შესაბამისი სერვისების მიწოდება;

ბ) უზრუნველყოს „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სრული პაკეტის განხორციელება, ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება;

გ) უზრუნველყოს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების სერვისისა და ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობ(ებ)ის სტაციონარული მომსახურებისა და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეკომპონენტების შენარჩუნება.

3.1.4. უზრუნველყოს „ქონებაზე“ (მათ შორის, დამატებით არანაკლებ 2 (ორი) ერთეული (ჯამში არანაკლებ 2400 კვ.მ ფართობის მქონე) შენობა-ნაგებობაზე) „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით განსაზღვრული ფსიქიატრიული დახმარების გაწევისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, საზოგადოების და პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათ შორის პაციენტის იზოლირებით, და გარე სამყაროსთან საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული კომუნიკაციის შეზღუდვის უზრუნველყოფა; ასევე, საჭიროების შემთხვევაში პაციენტის სხვა სამედიცინო დაწესებულებაში გაყვანა/გადაყვანა და უკან დაბრუნება, შესაბამისი უსაფრთხოების ღონისძიებების უზრუნველყოფით.

3.1.5. საკუთრების უფლებასთან ერთად სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (შემდეგში - „სამეწარმეო რეესტრი“) დაარეგისტრიროს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის, საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება. ამასთან, მყიდველი ვალდებულია, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში (შემდეგში - „საჯარო რეესტრი“) დაარეგისტრიროს „ხელშეკრულების“ 4.11 მუხლით გათვალისწინებული „საწარმოს“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის შეზღუდვა, №37.10.33.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმართ აგრეთვე „ხელშეკრულების“ 3.1.1; 3.1.3. და 3.1.4 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

3.1.6. დაფაროს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებებისა და საკუთრების უფლების რეგისტრაციის, აგრეთვე, „ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.1.7. „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლის „ა“ პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს“





3.1.12. „გამყიდველის“ მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს“ წარუდგინოს ინფორმაცია „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

3.2. „გამყიდველი“ ვალდებულია, „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც „სამეწარმეო რეესტრში“/„საჯარო რეესტრში“ შესაბამისი ვალდებულებების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

მუხლი 4. „ხელშეკრულების“ განსაკუთრებული პირობები

4.1. „მყიდველს“ „საწარმოს 95%-იან წილზე“ საკუთრების უფლება გადაეცემა „ხელშეკრულების“ გაფორმების და საკუთრების უფლების „სამეწარმეო რეესტრში“ რეგისტრაციის მომენტიდან; ამასთან, „საწარმოს 95%-იან წილზე“ საკუთრების უფლება „მყიდველს“ გადაეცემა „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

4.2. „საწარმოს 95%-იან წილზე“ საკუთრების უფლებასთან ერთად „სამეწარმეო რეესტრში“ რეგისტრირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის ვალდებულება.

4.3. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის“ მიერ მათი შესრულების წერილობით დადასტურების მომენტიდან.

4.4. „ხელშეკრულების“ 3.1.1. მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დადასტურება „გამყიდველის“ მიერ განხორციელდება „მყიდველის“ მიერ „გამყიდველისათვის“ „ხელშეკრულების“ 3.1.7. მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე;

4.5. „ხელშეკრულების“ 3.1.1. მუხლის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დადასტურება „გამყიდველის“ მიერ განხორციელდება „მყიდველის“ მიერ „გამყიდველისათვის“ „ხელშეკრულების“ 3.1.8. მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე;

4.6. „ხელშეკრულების“ 3.1.2. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დადასტურება „გამყიდველის“ მიერ განხორციელდება „მყიდველის“ მიერ „გამყიდველისათვის“ „ხელშეკრულების“ 3.1.9. მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე;



4.7. „ხელშეკრულების“ 3.1.3. მუხლის „ა“; „ბ“ და „გ“ პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დადასტურება „გამყიდველის“ მიერ განხორციელდება „მყიდველის“ მიერ „გამყიდველისათვის“ „ხელშეკრულების“ 3.1.10. მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე;

4.8. „ხელშეკრულების“ 3.1.4. მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დადასტურება „გამყიდველის“ მიერ განხორციელდება „მყიდველის“ მიერ „გამყიდველისათვის“ „ხელშეკრულების“ 3.1.11. მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე;

4.9. „მყიდველი“ უფლებამოსილია, „გამყიდველის“ წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების მიზნით, გირავნობით დატვირთოს „საწარმოს 95%-იანი წილი“. ამასთან, გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულებლობის გამო გირავნობით დატვირთული „საწარმოს 95%-იანი წილის“ მოგირავნის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მყიდველის“ ვალდებულებები.

4.10. „მყიდველს“ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდამდე არ აქვს „საწარმოს“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის ან უფლებრივად დატვირთვის უფლება, ხოლო, „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში „მყიდველი“ უფლებამოსილია განკარგოს ან იპოთეკით დატვირთოს „საწარმოს“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მხოლოდ „გამყიდველის“ თანხმობით.

4.11. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ მისთვის საკუთრებაში გადაცემული „საწარმოს 95%-იანი წილის“ გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია, „საწარმოს 95%-იანი წილი“ ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო „გამყიდველს“ და „მყიდველს“ შორის დადებული „ხელშეკრულებით“. „საწარმოს 95%-იანი წილის“ გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“.

4.12. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ „საწარმოს 95%-იანი წილის“ ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე „მყიდველთან“ ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. „საწარმოს 95%-იანი წილის“ ნაწილობრივ გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“.

4.13. „მყიდველს“ არ აქვს უფლება „ხელშეკრულების“ მოქმედების განმავლობაში მიიღოს „საწარმოს“ ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილება.



მუხლი 5. საბანკო გარანტია

5.1. „მყიდველის“ მიერ წარმოდგენილი სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს (ს/კ 202906427) მიერ 2016 წლის 20 იანვარს გაცემული №BGCP0012/200116 საბანკო გარანტია უზრუნველყოფს „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულების“ 2.1 და 3.1.1. მუხლებით დადგენული ვალდებულებების შესრულებას (მათ შორის მათი შეუსრულებლობისათვის „ხელშეკრულების“ საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

5.2. „მყიდველმა“ საბანკო გარანტიის საფასურის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 (ერთი) თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე;

5.3. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, „მყიდველის“ მხრიდან, ხელშეკრულების 6.12. და/ან 6.13. მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 6. „მხარეთა“ პასუხისმგებლობა და „ხელშეკრულების“ შეწყვეტა

6.1. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველი“ იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესახებ და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნას გადახდილი.

6.2. „ხელშეკრულების“ 2.1 მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი გადაუხდეელი თანხის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.3. „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 200 (ორასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4. „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.5. „ხელშეკრულების“ 3.1.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 200 (ორასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.



6.6. „ხელშეკრულების“ 3.1.3 მუხლის „ა“; „ბ“ და „გ“ პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო თითოეული ვალდებულების დარღვევისათვის 200 (ორასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.7. „ხელშეკრულების“ 3.1.4 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 200 (ორასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.8. „ხელშეკრულების“ 3.1.7 - 3.1.11 მუხლებით განსაზღვრული თითოეული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.9. „ხელშეკრულების“ 3.1.12 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

6.10. „ხელშეკრულების“ 5.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო საბანკო გარანტიის შესავსები თანხის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.11. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თითოეული ვალდებულების დარღვევისათვის „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.12. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში „მამყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება“.

6.13. „ხელშეკრულების“ ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, „საწარმოს 95%-იანი წილი“ უბრუნდება „მამყიდველს“. „მყიდველს“ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები, ხოლო „საწარმოს 95%-იან წილზე“ რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) გირავნობის უფლება (უფლებები) უქმდება.

6.14. „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.



მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის“ ან „მყიდველის“ კონტროლის ფარგლებს, შესაბამის „მხარეს“ არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა, თავიდან აცილება და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. ფორს-მაჟორული გარემოები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მოვლენით.

7.2. „მხარე“, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს“ ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხარე“ კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში „მხარეების“ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

7.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწვეს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

7.5. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში „მხარეები“ უფლებამოსილნი არიან, განიხილონ „ხელშეკრულების“ შეწყვეტის ან შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხი.

მუხლი 8. შეტყობინებები

8.1. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა „მხარეებს“ შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნას პირადად, ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.



8.2 „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის „მხარეთა“ რეკვიზიტებია:

8.2.1. „გამყიდველის“ შემთხვევაში:

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მისამართი: გ. ჭანტურიას ქ. №12, ქ. თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 299 11 05 / +995 32 299 11 11

8.2.2. „მყიდველის“ შემთხვევაში:

შპს „ბ & ნ“

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დუტუ მეგრელის №2

ტელ: 597543278

8.3. „მხარეები“ ვალდებული არიან შეატყობინონ ერთმანეთს მათ საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხარეების“ მიერ ერთმანეთის ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად.

8.4. „ხელშეკრულების“ 8.3. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, თუ „გამყიდველის“ მიერ „მყიდველის“ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარება ვერ განხორციელდა ზედიზედ ორჯერ, კორესპონდენცია ჩაითვლება „მყიდველისათვის“ ჩაბარებულად მისი „გამყიდველისათვის“ ხელშეორედ დაბრუნების დღიდან.

მუხლი 9. მარეგულირებელი კანონმდებლობა, დავების გადაწყვეტა

9.1. „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. „მხარეთა“ შორის დავის არსებობის შემთხვევაში, სადავო საკითხი წყდება „მხარეთა“ შორის შეთანხმებით. ასეთი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სხვა დებულებები

10.1. „ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა დასაშვებია „მხარეთა“ წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც გაფორმდება, როგორც ცალკე ხელშეკრულება და დაერთვება ამ „ხელშეკრულებას“, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.



10.2. „ხელშეკრულების“ ყველა ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს. მისთვის დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებისთვის“.

10.3. „ხელშეკრულების“ ცალკეული პუნქტების გაუქმება და/ან ბათილობა არ იწვევს „ხელშეკრულების“ სხვა პუნქტების გაუქმებას და/ან ბათილობას.

10.4. „ხელშეკრულების“ ერთ-ერთი „მხარის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

10.5. სათაურები „ხელშეკრულებაში“ მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

10.6. „ხელშეკრულება“ გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (ამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა „მხარეებს“ და შესაბამის რეესტრს.

10.7. „ხელშეკრულება“ ძალაში შედის „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერისა და სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან. სანოტარო წესით დამოწმებისათვის საჭირო ხარჯები იფარება „მყიდველის“ მიერ. „მყიდველი“ ვალდებულია „ხელშეკრულების“ სანოტარო წესით დამოწმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მიმართოს „სამეწარმეო რეესტრს“ და უზრუნველყოს „ხელშეკრულების“ დარეგისტრირება.


ხელმოწერები:

„მყიდველი“

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

წარმომადგენელი:

ქეთევან პეტრიაშვილი


 

„მყიდველი“

შპს „ბ & ნ“

წარმომადგენელი:

გიორგი დვალი



დანართი

„მოდულის“ მიერ ანგარიშსწორებისას მისათითებელი რეკვიზიტები:

1. ბუღალტრულების გაფორმების თარიღი
2. მხარის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი
3. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი



ორი ათას თექვსმეტი წლის ოც იანვარს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ლიანა ბუხრიკიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №81, მომმართეს: გიორგი დვალმა და ქეთევან პეტრიაშვილმა. რომლებმაც წარმოადგინეს ნასყიდობის ხელშეკრულება ორ ეგზემპლარად და მოითხოვეს მასზე ექვსი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

შევამოწმე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დაერწმუნდი, რომ ნამდვილად გიორგი დვალმა (დაბ. 10.07.1980წ. პირადი # 60001010613, მცხოვრები: თბილისი მ.მამარდაშვილის ქ. N 3 ბ. 5) და ქეთევან პეტრიაშვილმა (დაბ. 20.08.1990წ. პირადი # 01008046843, მცხოვრები: თბილისი მმ.ზუბალაშვილების ქ. N 30ა ბ. 4) მომმართეს.

შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ხელმოწერს განემარტათ, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს ნასყიდობის ხელშეკრულებაში (გამოსყიდვის უფლებით) მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: 16.16 /თექვსმეტი ლარი და თექვსმეტი თეთრი/ ლარი, აქედან: 12.00 /თორმეტი/ ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა სესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების სესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა, დღგ: 2.16 /ორი ლარი და თექვსმეტი თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2.00 /ორი/ ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი

ლ. ბუხრიკიძე



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160045364



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი

20.01.2016 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ლიანა ბუხრიკიძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #81

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

95-25-20

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

08403447216816



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18